

უმადლესი განათლებისადმი ხელმისაწვდომობა და ბარიერები ეთნიკური უმცირესობათა წარმომადგენლებისთვის

ანჟელა გურეგიანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირებაში
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია ანდლულაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორები მიერ, აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანჟელა გურეგიანი

01.07.2020

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი მოიცავს ეთნიკური უმცირესობათა წარმომადგენლების უმაღლესი განათლებისადმი ხელმისაწვდომობისა და ბარიერების გამოკვლევას. კერძოდ, ნაშრომი მიზნად ისახავს, ეთნიკური უმცირესობათა წარმომადგენლების დამოკიდებულებებისა და აღქმის შესწავლას უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობასა და ბარიერებთან მიმართებით, ასევე გამოავლინოს ფაქტორები, იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ იღებენ გადაწყვეტილებებს უმცირესობები უმაღლესი განათლების არჩევის პროცესში და რამდენად უზრუნველყოფენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ეთნიკურ უმცირესობათა ხელმისაწვდომობას. საკითხის გამოსაკვლევად ჩატარდა თვისებრივი კვლევა. შემთხვევის შესწავლის მთოდის გამოყენებით განხორციელდა 23 სიღრმისეული ინტერვიუ. აქედან, 20 სიღრმისეული ინტერვიუ განხორციელდა აზერბაიჯანელ და სომეხ აბიტურიენტებთან, ხოლო 3 ინტერვიუ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტაფთან. ნაშრომის თეორიულ საყრდენს წარმოადგენს რამოდენიმე თეორიული მოდელი, რომელიც ხსნის მოსწავლეთა აჩევანსა და გადაწყვეტილებებს უმაღლეს განათლებაში ჩართვასთან დაკავშირებით. მათგან აღსანიშნავია, გიდენსის სტრუქტურული თეორია (Giddens 1984) რომელიც ყველაზე უკეთ ხსნის უმცირესობათა აბიტურიენტების გადაწყვეტილებებსა და არჩევანს და მათი გადაწყვეტილებების მიღების მიზეზებსა და ინტერპრეტაციას.

საკვანძო სიტყვები: ეთნიკური უმცირესობები, უმაღლესი განათლება, თანასწორობა

Abstract

The aim of the study is to analyze the perception and attitude of ethnic minorities about the accessibility and barriers to acquire a higher education. The focus of the research is to identify: 1. Main factors related to minorities decisions in the process of choosing higher education and 2. How well higher education institutions provide access to ethnic minorities. To investigate the issues was conducted qualitative research using the case study method. The research was carried out with 23 participants out of which 20 represents both ethnic minorities Azeri and Armenian entrants and 3 of them are Ilia State University administration staff members. The paper uses several theoretical models to explain students' choice and perception. Of these models structuration theory (Giddens 1984) provides for the most comprehensive explanation for the ethnic minority students' choices and their interpretation of the choices they have made.

Key words: ethnic minorities, higher education, equity

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში მნიშვნელოვანი დახმარება გამიწია ჩემმა ხელმძღვანელმა-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, განათლების ადმინისტრირების ასოცირებულმა პროფესორმა- ნათია ანდლულაძემ, რომელსაც განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო.

ასევე, მადლობას ვუხდით ქალაქ თბილისის N98 საჯარო სკოლის ადმინისტრაციას, დირექტორსა და პედაგოგებს დახმარებისა და ხელშეწყობისთვის.

ბოლოს, მადლობას ვუხდით თითოეულ რესპოდენტს კვლევაში მონაწილეობისთვის, რომელთა დახმარებით შესაძლებელი გახდა კვლევის განხორციელება.